თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 27 სექტემბერი
რიგგარეშე სხდომის
ოქმი № 14

ქ. თერჯოლა

27 სექტემბერი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შემსრულებელი დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3.თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალი ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14.გრიგოლ გიორგაძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. კახა ბუცხრიკიძე, 17. რამინი რობაქიძე, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. ნატალია ასათიანი, 20. როლანდი მესხი, 21. ეკა ბერძენიშვილი, 22. თამარ ახვლედიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. მერაბი ბასილაძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. ივანე ჩუბინიძე, 27. გოჩა ვერულაშვილი, 28. დავით ცხადაძე, 29. ტარიელ ფანჩულიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 29 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ³⁵სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282326846 წერილი, 25.09.2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის № 28-282325118 წერილი, 08.09. 2023 წ);

/მომხს.თ.ქოჩიაშვილი/

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282326894, 25.09.203 წ.);

მომხს.: შ. ჭანკვეტაძე

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გამლიერების 2023 წლის პროგრამაში ცვლილების შეტანის შესახებ ((თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-2823226893, 25.09.203 წ.).

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 29 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 137.8 ათასი ლარით და შეადგენს 30323.9 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გრანტი გაიზარდა 137.8 ათასი ლარით. (გრანტი გაიზარდა 137.8 ათასი ლარით სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შეძენა).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 115.0 ათასი ლარით: გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა შემცირდა 5.0 ათასი ლარით. საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხაჯი შემცირდა 48,3 ათასი ლარით. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიაციის ხარჯი შემცირდა 51.7 ათასი ლარით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ხარჯი შემცირდა 5.0 ათასი ლარით. ამბულატორიების დაფინანსება შემცირდა 5.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 252.8 ათასი ლარით. საბინაო კომუნალური მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 207.8 ათასი ლარით, აქედან 137.8 ათასი ლარი განკუთვნილია სპეცტექნიკის (ნაგავმზიდის) შესაძენად. სოფლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება გაიზარდა 20.0 ათასი ლარით. სპორტული პროგრამების დაფინანსება გაიზარდა 5.0 ათასი ლარით. სოციალური დაცვა გაიზარდა 20.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 , წინააღმდეგი - 8

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 21, 27.09.2023 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია- -ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდება 104.9 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 30186.1 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 104.9 ათასი ლარით.გზებისა და ხიდების მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯის დაფინანსება გაიზარდა 104.9 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ ინფორმაცია.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ამ დროისათვის პროგრამის ბიუჯეტია 497 000 ლარი, დაემატება 15 000 და გახდება 512 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს:დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის №გ-292301113 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.2923270001, 27.09.2023წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი იზრდება ხუთი ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -29 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 თებერვლის №გ-29.29230453 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29232702, 27.09.2023წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
მ/შემსრულებელი
დავით გოგბერაშვილი